პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

КОМУНИСТИ

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 13 ოქტომბერი, 1943 წ. № 214 (6839). ფასი 20 კაპ.

სახალხო სასამართლოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის

სასამართლო-პროკურატურის ორგანოები მოწოდებულნი არიან დაიცვან და განამტკიცონ საბჭოთა მართლმსაჯულება. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომის პერიოდში იუსტიციის ორგანოების წინაშე დასმულია უაღრესად სერიოზული ამოცანები. მათ მთელი მუშაობა გარდაჰქმნეს სამამულო ომის ინტერესების შესაბამისად და სამოქმედო პროგრამად გაიხადეს დიდი **სტალინის** 1941 წლის 3 ივლისის მოწოდება იმის შესახებ, რომ „ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა გარდავქმნათ მთელი ჩვენი მუშაობა სიმარ ყაიდაზე, ყველაფერი უნდა დავუმორჩილოთ ფრონტის ინტერესებს და მტრის განადგურების ორგანიზაციის ამოცანებს“.

იუსტიციის სახალხო კომისარიატმა, რომლის ძირითადი ამოცანაა დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის უზრუნველყოფა პარტიისა და მთავრობის მითითებათა საფუძველზე, უნდა განახორციელოს სასამართლო ორგანოებზე სისტემატური, კონკრეტული, ოპერატიული ხელმძღვანელობა და კონტროლი.

ომის დღეებში მთელი რიგი სახალხო სასამართლოები წარმატებით მუშაობენ. არიან მოწინავე სახალხო მოსამართლენი, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებენ. მათ შესძლეს ზემდგომი ორგანოების მიერ დაწესებულ ნორმაზე დაბლა დაეყვანათ განუხილველ საქმეთა ნაშთი, სწორად ატარებენ დასჯითს პოლიტიკას, იცავენ საქმეთა განხილვის ვადებს, სისტემატურად უწევენ კონტროლს სასამართლოს აღმასრულებლების მუშაობას, იბრძვიან ძალაში შესულ გადაწყვეტილებათა დროულად სისრულეში მოსაყვანად და სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად.

მაგრამ არიან ისეთი მოსამართლენიც, რომლებიც სუსტად მუშაობენ. ობილისის ორჯონიკიძის რაიონის მოსამართლე ამხ. ივანიძე მთელი 1942 წლის განმავლობაში ერთხელაც არ გამოსულა მოსახლეობის წინაშე საანგარიშო მოხსენებით. იგი არ იცავს საქმეების განხილვის ვადებს. დაუდევრობას იჩენს თბილისის სტალინის რაიონის პირველი უბნის მოსამართლე კოკილაშვილი. ვინმე ფოტიდის საქმეზე ოქმი ხელმოწერილი არ იყო სასამართლოს შემადგენლობის მიერ. იქ აგრეთვე ადგილი აქვს კანონის უხეშად დარღვევას სპეკულაციის საქმეებზე დამატებით ღონისძიებათა შეფარდების დარგში.

ყაზბეგის სასამართლოს, მიუხედავად საქმეთა მცირე შემოსავლისა, მაინისათვის ჰქონდა ნაშთი, რომელიც 3 თვიურ შემოსავალს უდრიდა. მოსამართლე ლალიაშვილს 14 თვის განმავლობაში განუხილველი ჰქონდა ბრალდებულ ელაშვილის საქმე. ეს ბრალდებული თავდების ქვეშ გაათავისუფლეს და ამით საშუალება მისცეს მას მომალულიყო. სასამართლო ყურადღებას არ აქცევდა განაჩენების დროულად მოყვანას სისრულეში, სახელმწიფოსათვის ზარალის ანაზღაურებას, ჩაშლილი იყო აღმასრულებლის მუშაობა. ყაზბეგის მოსამართლის სუსტ, მოუქნელ და დაუდევარ მუშაობას ყველაზე ნათლად ის ფაქტი მოწმობს, რომ გასაჩივრებული განაჩენების 85 პროცენტი გაუქმებულია უმაღლესი სასამართლოს მიერ. ეს ფაქტები იმასაც მოწმობენ, რომ ლალიაშვილი თავს ვერ ართმევდა მუშაობას.

საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატმა ყოველმხრივ უნდა იბრძოლოს სასამართლო ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რათა აღიკვეთოს შეცდომები საქმეების განხილვაში და დაშვებულ არ იქნას კანონის დამახინჯებათა შემთხვევები. არის ფაქტები, როცა ზოგიერთი უბნის სასამართლოები ყურადღებას არ აქცევენ განაჩენის სისრულეში მოყვანას ბრალდებულთა პირადი ქონების კონფისკაციის ნაწილში. ეს დაუშვებელია. ასევე არ შეიძლება საქმეების განხილვა ბრალდებულის დაუსწრებლად, თუ ეს აუცილებლობით არ არის გამოწვეული.

ზუსტად და განუხრელად უნდა გატარდეს დასჯითი პოლიტიკა დამნაშავეების — სოციალისტური საკუთრების მტაცებლების, გამფლანგველების, სპეკულანტების, ქურდების, სასურსათო და სარეწველო ბარათების ბოროტად გამოყენებლების წინააღმდეგ. ასევე ზუსტად უნდა გავატაროთ კანონი შრომის დისციპლინის დამრღვევთა მიმართ.

სასამართლო ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება კადრების შერჩევას და სწორად დაკომპლექტებას. იუსტიციის სახალხო კომისარიატი ამ მხრივ ერთგვარ მუშაობას ეწევა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. კადრები მომზადება განუწყვეტლივ უნდა სწარმოებდეს, და საჭიროა ყოველთვის გვახსოვდეს, რომ იგი სეზონური საქმე როდია.

სერიოზული ყურადღება და ყოველდღიური კონტროლი უნდა გაეწიოს სასამართლოს აღმასრულებელთა მუშაობას. მოსამართლეები პირადად არიან პასუხისმგებელნი თავიანთი უბნის აღმასრულებლების მუშაობისათვის.

შემჩნეულია, რომ ამ ბოლო დროს შემცირდა მოსამართლეების ანგარიშგება მოსახლეობისადმი, ზოგიერთმა მოსამართლემ კი ეს სრულიად შესწყვიტა. საჭიროა აფხაზეთისა და აჭარის ასსრ იუსტიციის სახალხო კომისრებმა, საქ. სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა სამხრეთ-ოსეთში და ყველა მოსამართლემ სერიოზული ყურადღება მიაქციონ საანგარიშო მოხსენებათა ჩატარებას დაწესებულ ვადებში.

მოსახლეობისადმი იურიდიული დახმარების გაწევა სერიოზული სამუშაო უბანია. ამიტომ საჭიროა რაც შეიძლება მალე მოხდეს ადვოკატთა კადრების გადასინჯვა და მათი იქ გაგზავნა სამუშაოდ, სადაც ასეთი კადრები საკმაო რაოდენობით არ არის.

იუსტიციის ორგანოებმა ყოველმხრივ უნდა გააძლიერონ და გაუმჯობესონ მუშაობა, გაამახვილონ სიფხიზლე, მტკიცედ დაიცვან და განამტკიცონ საბჭოთა მართლმსაჯულება. ამას მოითხოვს მათგან ვერაგ მტერზე ჩვენი საბოლოო გამარჯვების დიადი ამოცანა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ქალაქ პერეიასლავისათვის ქალაქ პერეიასლავ-ხმელნიცკის დარქმევის შესახებ

უკრაინელი ხალხის დიდი შვილის, უკრაინის სახელმწიფო მოღვაწისა და მხედართმთავრის ბოგდან ხმელნიცკის ხსოვნის აღსანიშნავად ქალაქ პერეიასლავს ამიერიდან ეწოდოს ქალაქი პერეიასლავ-ხმელნიცკი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 12 ოქტომბერი.

დადგენილება

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა, უკრაინის სახკომსაბჭოსი და უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

ქალაქ პერეიასლავისათვის ქალაქ პერეიასლავ-ხმელნიცკის დარქმევის შესახებ

1654 წლის 8 იანვარს ქალაქ პერეიასლავში უკრაინის დიდმა გეტმანმა ბოგდან ხმელნიცკიმ მოიწვია უკრაინელი ხალხის წარმომადგენელთა რადა, რომელიც ისტორიაში შევიდა, როგორც პერეიასლავის სახელოვანი რადა.

ეს მოხდა უკრაინისათვის მძიმე დროს, როდესაც უცხოელი დამპყრობლები—პოლონელი შლიახტა ცდილობდა დაემონებინა უკრაინელი ხალხი, წაერთმია მისთვის სახელმწიფოებრივი არსებობის, დედაენის, კულტურის უფლება, ნაციონალური ჩვეულებანი, სარწმუნოება. ბრძენი სახელმწიფო მოღვაწე და სახელოვანი მხედართმთავარი ბოგდან ხმელნიცკი ხედავდა ერთადერთ სწორ გზას, რომელზე სვლითაც უკრაინას შეეძლო განთავისუფლებულიყო უცხოელთა შემოსევისაგან, დაეცვა თავისი თვითმყოფადობა, თავიდან აეშორებინა ნგრევა და მოსპობა. პერეიასლავის რადამ გეტმან ხმელნიცკის წინადადებით ერთსულოვნად, მთელი უკრაინელი ხალხის ნებასურვილის თანახმად, სამუდამოდ დაამტკიცა ურღვევი კავშირი ორი მომიჯნავე ერთი სისხლის ხალხისა—დიდი უკრაინელი ხალხისა, დიდ რუს ხალხთან. იმ დროიდან რუსი და უკრაინელი ხალხების ერთობლივი ცხოვრებისა და ბრძოლის 290-მა წელმა დაადასტურა დიდი გეტმანის მთელი სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა. რუსი და უკრაინელი ხალხების საერთო ძალ-ღონით გაკარკაშულებულ იქნა უცხოელი დამპყრობლების ყოველგვარი ცდა დაემონებინათ და გაეთიშათ ეს ხალხები. საერთო ძალ-ღონით გაფანტულ იქნენ კარლოს XII-ის ჯარები, ფრიდრიხ II-ის პრუსიელთა პოლკები, ნაპოლეონის არმია, კაიზერ ვილჰელმის ურდოები. საერთო ძალ-ღონით დამხობილ იქნა ცარიზმი და შეიქმნა თავისუფალი საბჭოთა ხალხების დიდი სოციალისტური სახელმწიფო—სსრ კავშირი. რუს ხალხთან ძმურ კავშირში გაიფურჩქნა თავისუფალი საბჭოთა უკრაინა მთელი თავისი ძლიერებით, სილამაზითა და სიმდიდრით. მხოლოდ რუს ხალხთან კავშირში, სტალინის ხელმძღვანელობით განხორციელებულ იქნა უკრაინელი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება—გაერთიანებულ იქნა მთელი უკრაინული მიწა-წყალი უკრაინის ერთიან საბჭოთა სახელმწიფოდ.

დიდი სამამულო ომის დღეებში ჩვენ კვლავ ვიგონებთ პერეიასლავის სახელოვან რადას, რომელზეც დამტკიცებულ იქნა ჩვენი ორი მომიჯნავე ხალხის ურღვევი კავშირი. ჩვენ პატივსა ვცემთ ბოგდან ხმელნიცკის—ამ კავშირის ფუძემდებლის სახელმწიფოებრივ შორსმჭვრეტელობასა და სიბრძნეს. დიდი რუსი ხალხის დაუხმარებლად უკრაინა გასრესილ იქნებოდა გერმანელ დამპყრობთაგან, მისი ხალხი დამონებულ იქნებოდა, მისი სახელმწიფო, ენა, კულტურა მოსპობილ იქნებოდა. რუს ხალხთან და სხვა საბჭოთა ხალხებთან საბრძოლო კავშირში უკრაინა თავისუფლდება გერმანელთა შემოსევისაგან. უკვე ახლოა ჟამი ჩვენი საბოლოო გამარჯვებისა საბჭოთა ხალხების მოსისხლე მტერზე—ჰიტლერულ გერმანიაზე. რუსი და უკრაინელი ხალხების უძლეველი კავშირი, სტალინის გენიით გასაბიოსნებული, სამამულო ომის ცეცხლში გამოწრთობილი, უკრაინის ბედნიერი მომავლის საწინდარია.

უკრაინელი ხალხის დიდი შვილის, ბრძენი სახელმწიფო მოღვაწისა და მხედართმთავრის, რუსი და უკრაინელი ხალხების კავშირის ფუძემდებლის—ბოგდან ხმელნიცკის ხსოვნის აღსანიშნავად, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ქალაქ პერეიასლავს, სადაც დაიბადა ბოგდან ხმელნიცკი, სადაც მოწვეულ იქნა პერეიასლავის რადა, დაერქვას ქალაქი პერეიასლავ-ხმელნიცკი.

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. გრეჩუხა

უკრაინის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ. კორნიეცი

უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ხრუშჩოვი

1943 წ. 11 ოქტომბერი.

მაიორ ს. ყ. ჩარკეიანის დაჯილდოება

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია მაიორი სოკრატ ყარამანის-ძე **ჩარკეიანი.**

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

12 ოქტომბრის ოპერაციული ცნობა

დნეპრის შუაწელის ზოლში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მდინარის მარჯვენა ნაპირზე წინანდელ რაიონებში პლაცდარმების გასაფართოებლად და ცალკეულ უბნებზე სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს.

ვიტებსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

ფრონტის დანარჩენ უბნებზე გაძლიერებული დაზვერვა და საარტილერიო-სანალმტყორცნო სროლაა.

11 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 50 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მტრის 72 თვითმფრინავი.

* * *

დნეპრის მარჯვენა ნაპირზე ერთ რაიონში 6 შენაერთის ნაწილები გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ. გერმანელებს სურდათ, რადაც უნდა დაჯდომოდათ შეეღწოვებინათ ჩვენი ნაწილები, მაგრამ ყველა მათი კონტრიერიში მოგერიებულ იქნა. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 700-მდე გვამი. სხვა რაიონში მთელ დღეს შეუპოვარი ბრძოლა იყო მაღლობისათვის, რომელიც გარეშემო ადგილს დაჰყურებს. ბრძოლები არაერთგზის ხელჩართულ შეტაკებებად იქცეოდა. დღის ბოლოსთვის ჩვენმა ჯარებმა განდევნეს გერმანელები ამ მაღლობიდან და წინ წაიწიეს. ერთი დღის ბრძოლების განმავლობაში მოსპობილია 1.500-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანებული და დამწვარია 23 ტანკი და 2 ჯავშნიანი მანქანა. მეზობელ უბანზე მოწინააღმდეგემ ქვეითი ჯარისა და ტანკების ძალებით კონტრიერიში მოიტანა. გაჩაღებულ ბრძოლაში გერმანელთა 11 ტანკი ჩვენს საბრძოლო წყებებში შემოიჭრა. არტილერისტებმა, რომლებიც ქვეითი ჯარის საბრძოლო წყებებში მოქმედებდნენ, დაუყოვნებლივ მიაბრუნეს თავიანთი ქვემეხები და სროლა აუტეხეს მოწინააღმდეგის შემოჭრილ ტანკებს. ნახევარი საათის განმავლობაში გერმანელთა თერთმეტივე ტანკი დაზიანებულ და მოსპობილ იქნა. ტანკების ცოცხლად გადარჩენილი ეკიპაჟები ტყვედ არის წამოყვანილი.

ჩვენი ავიაცია აქტიურად უწყობდა ხელს სახმელეთო ჯარების მოქმედებას. საჰაერო ბრძოლებში დღის განმავლობაში ჩამოგდებულია გერმანელთა 41 თვითმფრინავი.

* * *

ვიტებსკის მიმართულებით 6 შენაერთის ნაწილებმა მტრის წინააღმდეგობა სძლიეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. მოსპობილია გერმანელთა ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი. ხელთ ვიგდეთ 2 სარტიელერიო ბატარია, 3 ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი და საომარი მასალის საწყობი. სხვა უბანზე მტერმა კონტრიერიში მოიტანა და ცდილობდა დაებრუნებინა გუშინ დაკარგული დასაყრდენი პუნქტები. ნაღმსატყორცნებისა და თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით ჰიტლერელები გაფანტულ და ნაწილობრივ მოსპობილ იქნენ ისე, რომ ჩვენს თავდაცვის ზღუდემდე მოსვლა ვერ მოასწრეს.

ჩვენმა მოიერიშე და ბომბდამშენმა ავიაციამ მოსპო გერმანელთა 8 ტანკი, 40 ავტომანქანა, 3 ავტოცისტერნი საწვავიანად, ააფეთქა მტრის საომარი მასალის საწყობი და ჩაახშო 8 საარტილერიო ბატარიის ცეცხლი.

საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 12 თვითმფრინავი.

* * *

შავი ზღვის ფლოტის ავიაციამ ერთ-ერთ ნავსადგურში ჩასძირა მტრის ტანკერი 3.000 ტონა წყალწყვისა, 2 სადესანტო კარჭაპი, 2 თვითმავალი პონტონი და მშრალი ტვირთის 2 კარჭაპი.

* * *

ალექსანდრე ნეველის სახელობის უკრაინულმა პარტიზანულმა რაზმმა 20 სექტემბერს ააფეთქა დიდი ხიდი რკინიგზის მნიშვნელოვან უბანზე. გერმანელებმა სასწრაფოდ გაგზავნეს სარემონტო მატარებელი ხიდის აღსადგენად. მატარებელი დანიშნულების ადგილამდე არ მისულა, პარტიზანების მიერ ჩაწყობილ ნაღმებზე აფეთქდა და ფერდობზე გადავარდა. გერმანელებმა გზის დაცვა გააძლიერეს, სასწრაფოდ გაგზავნეს სასანგრო-საინჟინრო ასეულები, დროებითი ხიდი ააგეს და დანგრეული ლოკომოტივი აღადგინეს. მაგრამ მატარებელთა მოძრაობის აღდგენა მტერმა ვერ მოახერხა. ძერჟინსკის სახელობის რაზმის პარტიზანებმა ამავე უბანზე ააფეთქეს რკინიგზის მეორე ხიდი.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელების ეგერთა მე-4 ბატალიონის მე-3 ასეულის ეფრეიტორმა ფრიდრიხ ლისკამ განაცხადა: „გერმანიის სამხედრო ცნობებში ნათქვამია, რომ გერმანიის არმია უკან კი არ იხევს, არამედ „მეგამაზომიერ უკუსვლას ასრულებს“. ასეთი მოტყუება უდიდეს აღშფოთებას იწვევს. ვინვინ, ხოლო ჯარისკაცებმა ფრონტზე ზუსტად იციან, რომ გერმანიის ჯარები უკან იხევენ იმიტომ, რომ არ შეუძლიათ გამკლავება. ძალიან ხშირად ახლანდელი უკანდახევა პანიკურ გაქცევად იქცევა. უკანდახეული ნაწილები ჭყიან საპურველს, სამხედრო ქონებას და თავიანთ დაჭრილებსაც კი არა ჰერეფენ. რამდენიმე დღის განმავლობაში მე-3 ასეულმა 130 კაცი დაჰკარგა. მასში სულ ორი ათეული ჯარისკაცია გადარჩა. ერთ ბრძოლაში, რომელმაც ნახევარ დღეს გასტანა, ჩვენმა ბატალიონმა 9 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხიდან 8 ქვემეხი დაჰკარგა. ყველა ტყვიამფრქვევი გამოყენილი იქნა მწყობრიდან რაც უნდა ილაპარაკოს სარდლობამ, ყოველ ჯარისკაცს ესმის, რომ გერმანიის არმია ასეთი ზარალის ატანას დიდხანს ვერ შესძლებს“.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი იმ მხეცობის შესახებ, რაც გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა დნეპროპეტროვსკის ოლქის სოფელ გუბინიხაში ჩაიდინეს: „გერმანელების მოსვლის პირველი დღიდანვე ჩვენთვის აუტანელი ცხოვრება დადგა. დაიწყო მხეცური აბუჩად აგდება და მასობრივი ხვრეტა. გერმანელებმა დაიტაცეს მცხოვრებთა მთელი ქონება. განსაკუთრებით დასცინოდა მოსახლეობას დ. მვინვარიდა კომენდანტი ობერფელდფებელი კროლი. ოქტომბრის 15 წლის სახელობის კოლმეურნეობაში ფაშისტმა ურჯულოებმა 99 კოლმეურნე დახვრიტეს. შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობაში გერმანელმა ჯალათებმა დახოცეს 140 კაცი, მათ შორის თევდორე კორნიენკოს ოჯახი, პელაგია ტარანენკოს და სხვების ოჯახი. 2.000-ზე მეტი მცხოვრები გერმანელებმა ძალით გაიყვანეს გერმანიის კატორღაში. ფაშისტმა ბარბაროსებმა დაწვეს 605 საცხოვრებელი სახლი მთელ საეზო ნაგებობიანად, 28 საკოლმეურნეო შენობა, ააფეთქეს ორთქლის წისქვილი, სკოლა, კლუბი და საბავშვო ბაღი. მხეცმა ჰიტლერელებმა გაანადგურეს და მოსპეს საავადმყოფო. მთა ეზოში გამოათრიეს იქ სამკურნალოდ მყოფი ავადმყოფი მამაკაცები, ქალები და ბავშვები, 75 წლის ფერშალი ანდრია პოზლევიჩი და ავტომატებით დახვრიტეს ისინი. ავადმყოფებისათვის სისხლისღვრით ანგარიშის გასწორების შემდეგ გერმანელებმა ააფეთქეს აფთიაქი და დასწვეს საავადმყოფოს მთავარი კორპუსი, საინფექციო კორპუსი და თანამშრომელთა ორი საცხოვრებელი სახლი“.

აქტს ხელს აწერენ სოფლის მცხოვრებნი: პ. კუჩერიავენკო, მ. გონჩარი, ხ. გოლუბი, ს. მარტინენკო, კ. კორნიენკო, მ. ობერემოკი, ფ. სემენჩენკო, მ. სოროკა, ე. მეზინცევა, ე. სამენკო.

დაზგათმშენებელი მრეწველობის მუშაკთა დაჯილდოება

დაზგების, ინსტრუმენტის, აბრაზიების, ხიმარი მასალის და საჭურველის წარმოების დარგში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან:

ლენინის ორდენით—„მიზის“ ქარხნის მთავარი ინჟინერი ნ. ლ. ალექსანდროვი, მანქანათმშენებლობის მუშათა კავშირის ცენტრალური კომიტეტის სახელობის ქარხნის ხარატი — შიგამჩარხავი მ. ვ. ბელკინი, დაზგათმშენებლობის სახალხო კომისრის მოადგილე ა. ე. ვიატკინი, ქარხანა „სტანკოკონსტრუქციის“ „ენინსის“ მთავარი კონსტრუქტორი ვ. ი. დიკუშინი და სხვები, სულ 16 კაცი;

შრომის წითელი დროშის ორდენით — 59 კაცი;

წითელი ვარსკვლავის ორდენით—14 კაცი;

„სატატო ნიშნის“ ორდენით—149 კაცი;

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის — 111 კაცი;

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 136 კაცი. (საკდესი).

საბჭოთა კავშირში

გაიხსნა კურსკის საოლქო დრამატიული თეატრი

თითქმის ორი წლის შეწყვეტის შემდეგ 9 ოქტომბერს მუშაობა განაახლა კურსკის პუშკინის სახელობის საოლქო დრამატიულმა თეატრმა. პირველ დღეს დაიდგა ლ. ლეონოვის პიესა „შემოსევა“.

სოფლის მოსახლეობის მომსახურებისათვის კვლავ იქმნება საოლქო მოძრავი თეატრი. განზრახულია აგრეთვე გაიხსნას საოლქო ფილარმონია და თოჯინების თეატრი. ამავამად კურსკში მუშაობს 2 საკონცერტო ბრიგადა, რომლებიც მომსახურებას უწევენ საწარმოებს, ჯარის ნაწილებსა და ჰოსპიტლებს.

12 ოქტომბერი (საკდესი).

საჩუქრები სამშობლოს ციმბირელ კოლმეურნეთაგან

ციმბირის პირით დავეხმაროთ წითელ არმიის შეტევას! ამ ლოზუნგით ფართოდ გაჩაღდა ნოვოსიბირსკის ოლქის კოლმეურნეობათა წინასაოქტომბრო შეჯიბრება. 150 სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების წლიური გეგმა, შეტანილი სპარტიო სიაში. მათ დამატებით გაგზავნეს ელევატორებში ათიათასობით ფუთი პირველხარისხოვანი მარცვლეული. (საკდესი).

ხაკასეთის მშრომელნი განთავისუფლებულ რაიონებს ეხმარებიან

ხაკასეთის კოლმეურნეობებში დიდი აღფრთოვანებით მიმდინარეობს კალინინის ოლქის განთავისუფლებული რაიონებისათვის სახსრების, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, ბოსტნეულისა და პროდუქტების შეგროვება. სარალის რაიონის კოლმეურნეებმა გადასწყვიტეს მთლიანად ადადგინონ კალინინის ოლქის ერთ-ერთი კოლმეურნეობა, თავიანთი სახსრებით ააგონ გამგეობის სახლი, ქოხ-სამკითხველო, საბავშვო ბაღი, ქოხ-ლაბორატორია, ბაკები, ბეღლები. ამ მშენებლობისათვის უკვე მიმდინარეობს ხე-ტყის დამზადება (საკდესი).

უკანასკნელი ცნობები

ჩერჩილის განცხადება იტალიის ფლოტის ბედის შესახებ

ლონდონი, 12 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ჩერჩილმა თემთა პალატაში შეტანილი შეკითხვის პასუხად დღეს განაცხადა, რომ იტალიის ფლოტის ძირითადი ნაწილი, ესე-იგი საერთოდ ყველა კატეგორიის 100-ზე მეტი სამხედრო გემი მოკავშირეთა ხელშია.

„შემდგომი დაწვრილებითი ცნობების გადმოცემა,—განაცხადა ჩერჩილმა,—საზოგადოებრიობის ინტერესების შესაბამისი არ იქნებოდა. გემებისა და კომანდების მდგომარეობა კვლავ აქტიური შესწავლის საგანს წარმოადგენს. გემები გამოყენებული იქნება ისე, რომ მაქსიმალური სარგებლობა მოუტანონ გაერთიანებულ ერებს“.

გერმანიის აეროდრომების დაბომბვა ეგეოსის ზღვის რაიონში

ლონდონი, 12 ოქტომბერი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 10 ოქტომბერს ღამით ინგლისის მძიმე ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს აეროდრომზე კალატოში (კუნძული როდოსი). ბომბები გასკდა თვითმფრინავების სამყოფელ ადგილსა და ასაფრენ-ძირდასაშვებ გზებზე. ბევრგან გაჩნდა ხანძარი. 10 ოქტომბერს მოკავშირეთა თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს აეროდრომებზე ჰერაკლიონში (კუნძული კრეტა), კალატოში (კუნძული როდოსი) და ანტიმაკიაში (კუნძული კოსი).

ინგლისი არ სცნობს იტალიის მეფეს აბისინიის იმპერატორად

ლონდონი, 12 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპარლამენტო მდივანმა ხოლმა უარყოფითი უპასუხა თემთა პალატაში მისთვის მიცემულ შეკითხვაზე, წინანდებურად სცნობს თუ არა ინგლისის მთავრობა იტალიის მეფეს აბისინიის იმპერატორადო.

ინგლის-პორტუგალიის შეთანხმება ინგლისის შეიარაღებული ძალების მიერ აზორის კუნძულების გამოყენების შესახებ

ლონდონი, 12 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ინგლისისა და პორტუგალიის მთავრობებს შორის დადებულია შეთანხმებანი, რომლებითაც ინგლისს შესაძლებლობა ეძლევა გამოიყენოს აზორის კუნძულები ატლანტიკაში სავაჭრო ნაოსნობის დაცვის უზრუნველსაყოფად, ხოლო პორტუგალია ღებულობს ინგლისის დახმარებას მასალებისა და საჭურველის მიწოდების სახით.

ჩერჩილმა განაცხადა, რომ ხელშეკრულება, რომელიც აზორის კუნძულების გამოყენებას ეხება, დროებითს ხასიათს ატარებს და ოდნავაც არ აყენებს ზიანს პორტუგალიის ტერიტორიაზე პორტუგალიის სუვერენიტეტის წინააღმდეგ.

საომარი მოქმედების დამთავრებისთანავე ინგლისის მთელი ჯარები დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნებიან აზორის კუნძულებიდან.

ხელშეკრულებაში არაფერი არ აყენებს ზიანს პორტუგალიის მთავრობის მუდმივ სურვილს—განაგრძოს ნეიტრალიტეტის პოლიტიკა.

ბრძოლა გზავკეცილისათვის

მოსკოვი არმია, 12 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორ.). საბჭოთა შემტევ ჯარებს წინ დახვდა საფლობი და ჭაობები. ჭაობებს იქით გზატკეცილი იყო, რომელიც გერმანელებს ეკავათ. მაიორ სიტკოს ქვეგანაყოფმა ამოცანა მიიღო წინ წაწიოა და დაეკავებინა გზატკეცილი.

ოპერაცია რომ ხდებოდა, შუა ღამე გადასული იყო. მებრძოლებს, რომელნიც, წელამდე ჭანჭრობში იფლობოდნენ, ზურგით მიჰქონდათ დაზგის ტყვიამფრქვევები, ტანსაწინააღმდეგო თოფები, საომარი მასალა. იმ სოფელს, სადაც ჰიტლერელები იმყოფებოდნენ, გუულმოდგინედ უვლიდნენ გვერდს. გზატკეცილზე გავიდნენ განთიადისას და დაიკავეს ირგვლივი თავდაცვა.

დილით გერმანელებმა თავიანთ ზურგში აღმოაჩინეს ჩასანგრებული საბჭოთა ქვეგანაყოფი. იმათ ზომები მიიღეს, რომ რადაც უნდა დასჯდომოდათ, უკან ჭაობებშიც გადაერეკათ ჩვენი მებრძოლნი. ფლანგებიდან დაარტყეს მტრის ზარბაზნებმა და ნაღმსატყორცნებმა. ორი მხრიდან გზატკეცილზე კონტრიერიში მოიტანა მტრის ქვეითმა ჯარმა, როგელსაც ახლდა 8 ტანკი და 3 თვითმავალი ზარბაზანი. გაჩაღდა ბრძოლა.

ჩვენი ქვეგანაყოფის მეგობარობა იმან გაართულა, რომ მას-მარტო ტანსაწინააღმდეგო თოფებით, დაზგის ტყვიამფრქვევებითა და გრანატებით უნდა მოეგერიებინა მრავალრიცხოვანი სატანკო კონტრიერიში.

გერმანელები აწვებოდნენ. მტრის ტანკებმა მოახერხეს მწყობრიდან გამოეყვანათ ტანკსაწინააღმდეგო თოფები. მებრძოლები და ოფიცრები ბრძოლას განაგრძობდნენ. დაზგის ტყვიამფრქვევის ბუნდის მეთაური უმფროსი სერჟანტი პეტრე კრეოშეევი უდგრად ეგერებოდა გერმანელების მიერ ზალზედ მოტანილ ჭოტრიერიას. ამაცი მეტყვიამფრქვევის პოზიციას ახლოს ამოდაუუმ სკდებოდა მტრის ყუმბარები. მეტყვიამფრქვევეს მიწა ეყარა. მან ერთი წუთით დაკარგა ცნობიერება, მაგრამ გონს რომ მოვიდა, კვლავ დაუშინა ცეცხლი მტერს.

დაღუპულთა და დაჭრილთა ადგილს დაუყოვნებლივ იკავებდნენ მეზობლები, უმცროსმა ლეიტენანტმა ბროდსკიმ დაზგის ტყვიამფრქვევებთან გაატარა რამდენიმე საათი და წარმატებით იგერიებდა მტრის კონტრიერიშებს. ლეიტენანტმა ანატოლი ზუბოვმა ბრძოლის კრიზისულ მომენტში შესცვალა დაღუპული უფროსი მეთაური და მებრძოლთა ჯგუფთან ერთად მოიგერია მტრის ჭარბი ძალების კონტრიერიში.

ბრძოლა მთელ დღეს გაგრძელდა. სალამოს ქვეგანაყოფს მაშველი ძალა მოუვიდა. გერმანელებმა, რომელთაც დიდი ზარალი მოუვიდათ, შესწყვიტეს კონტრიერიშები. დაკავებული ზღუდე ქვეგანაყოფმა შეინარჩუნა.

კ. პუხოვი

ზემდეგ ვიქტორ ვიტორენკოს უკვდავი საგმირო საქმე

სამხრეთის უმთავარო ღამეში აზოვის ფლოტილიის მეზღვაურთა დესანტი უხმაუროდ გადასხდა ფაშისტ ოკუპანტთა ზურგში. სოფელ იალთისთან მისვლისას მეზღვაურები მტრის რიცხვობრივად ჭარბ რაზმს შეხვდნენ. გაჩაღდა სისხლისმღვრელი ბრძოლა. გერმანელებმა იგრძნეს თავიანთი უპირატესობა და გამხეცებულად შემოუტიეს მედესანტეებს. აზოველებს თავს დაატყდათ ტყვიამფრქვევებისა და ნაღმსატყორცნების სეტყვა. მაგრამ მეზღვაურთა მცირე ჯგუფი ერთი ნაბიჯითაც არ იხევდა უკან.

მეორე ხარისხის ზემდეგი ვიქტორ

წარმატებით დავამთავროთ უხვი სამხედრო მოსავლის აღება

ჩამორჩენილები მოწინავეებს უნდა გაუთანასწორდნენ

ზუგდიდი („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში დაიწყო სიმინდის უხვი მოსავლის აღება. სიმინდის მოსავალს სწრაფი ტემპებით და უდანაკარგოდ იღებენ სოფ. კოკის სტალინის სახელობის, სოფ. ორსანტიის გეგეჭკორის სახელობის, სოფ. ახალსოფლის კოლმეურნეობებში. ისინი ყოველმხრივ მოემზადნენ შემოდგომისათვის და მუშაობაც შეუფერხებლად სწარმოებს.

მაგრამ სოფ. ორულუს კოლმეურნეობა „ახალი შარაბ“ თავმჯდომარე ამხ. კ. როგავა არ ჩქარობს მოსავლის აღების დასაწყებად. კარგი ხანია სიმინდი და სოია ძალზე გადამწიფდა, ხოლო მისი აღებისათვის არავინ ზრუნავს. აქ სასიმინდეებისა და ფარდულების მშენებლობა-შეკეთება თითქმის დაავიწყდათ. ჯერჯერობით საშენი მასალაც არა აქვთ მომზადებული. 27 ურმიდან შეკეთებულია 21. ეს იმ დროს, როცა მთლიანად 27 ურემიც ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას. საკმარისი რაოდენობით არ მოუმარაგებიათ სასწორები, ნამგლები, გოდრები. სოიას გასაღებ ფარდულს აწვიმს. ამას დაუმატეთ ისიც, რომ კოლმეურნეობის გამგეობას მოსავლის აღების კალენდარული გეგმაც არა აქვს შემუშავებული. ყოველივე ამის შემდეგ რას იტყვიან ამხანაგები ორულუდან? ნუთუ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. კ. როგავას და პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს ამხ. მ. აკობიას ეს მიაჩნიათ ოპერატიულ ხელმძღვანელობად?

იგივე შეიძლება ითქვას სოფელ განმუხურას კოლმეურნეობა „შრომაზეც“. აქ სიმინდი და სოია ასაღებია 260 ჰექტარზე. მოსავალს კარგი პირი უჩანს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ბ. ვაჩანია კი მხოლოდ 12 ურმით აპირებს უხვი მოსავლის გადაზიდვას და დაბინავებას. ჯერ ისიც არ გამოურკვევიათ, თუ სად დაბინავებენ ჭირნახულს. კოლმეურნეობის ხელმძღვანელები გვპირდებიან: მოსავალს უდანაკარგოდ ავიღებთო. კეთილი, მაგრამ როგორ და როდის?

ჩამორჩენილი კოლმეურნეობები უნდა გაუთანასწორდნენ მოწინავეებს. ყველა საშუალებისა და შესაძლებლობის გამოყენებით, მთელი ძალების დაძაბვითა და მობილიზაციით უნდა მივაღწიოთ უხვი მოსავლის უდანაკარგოდ აღებას. ამას მოითხოვს სამშობლოსა და ფრონტის ინტერესები.

ხ. ბერულავა

კოლმეურნეები სწახანოვურად მუშაობენ

ქობულეთის რაიონის ხალის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობათა წევრები ახალი წარმატებებით უპასუხებენ გმირი წითელი არმიის ბრწყინვალე გმარჯვებებს და უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის ბრძანებებს, ყოველდღიურად აძლიერებენ მუშაობის ტემპებს საკოლმეურნეო მინდვრებში მაღალი სამხედრო მოსავლის მიღებისა და უდანაკარგოდ აღებისათვის. ამ სასოფლო საბჭოში შემავალმა კოლმეურნეობებმა ვადაზე ადრე 117,9 პროცენტით შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 361.700 კილოგრამისა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 392.500 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. ამავე დროს აიღეს ახალი ვალდებულებანი.

სოფელ ჩაისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ისლამ ბერიძე) ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა ჯერ კიდევ 10 სექტემბრისათვის შეასრულა, ნაცვლად 248.000 კილოგრამისა მოკრიფა 271.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, შემდეგ კი საკოლმეურნეო ბრიგადებმა, რგოლებმა და ცალკეულმა მკრეფავებმა კიდევ უფრო გააძლიერეს ბრძოლა ახალი საწარმოო წარმატებებისათვის. დავალებათა წარმატებით შესრულების საუკეთესო მაგალითებს იძლევიან კოლმეურნეობის მეცხრე, მერვე და მეექვსე ბრიგადები. მოწინავე სტახანოველები ემინე და ენვერ კობალაძეები, უშიან ყურშუბაძე, სერიე ცეცხლაძე, სურეი ზოიძე და სხვები ყოველდღიურად სამ-ოთხ ნორმას ასრულებენ.

საუკეთესო მაჩვენებლები აქვს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმის შესრულებაში სოფელ ხალის სტახანოვის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ომერ ვოსაძე). აქ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 20 სექტემბრისათვის 110 პროცენტით შესასრულეს, ნაცვლად 74.000 კილოგრამისა მოკრიფეს 81.400 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. კოლმეურნეობამ იკისრა გეგმის გადამეტებით კიდევ მოკრიფოს 5 ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი, გარდა ამისა, დაეხმაროს ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობას, მოუკრიფოს 10 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. მუშაობის კარგ მაგალითებს იძლევა № 4 ბრიგადა, რომელსაც ოსმან დავითაძე ხელმძღვანელობს, აგრეთვე № 3 ბრიგადა (ბრიგადირი უსუფ ხალვაში). სტახანოველები ბედრიე ხალვაში, ხედისე იმნაძე, აიშე აბაშიძე, ზერე გვარიშვილი დღიურ დავალებებს 200-400 პროცენტით ასრულებენ.

ალ. ახალაძე

უდანაკარგოდ ავიღოთ უხვი მოსავალი

ჩხარი („კომუნისტის“ საკ. კორ.). უხვი მოსავლის მიღებაში თავი ისახელეს რაიონის მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა, მათ შორის: ჯაფარიძის, ჩკალოვის, კამოს, ბაქრაძის, სტურუას, ენგელსის, მოლოტოვის, რუსთაველის, გორკის, ჩარკვიანის და ნინოშვილის სახელობის კოლმეურნეობებმა. ეს კოლმეურნეობები მოსავლის აღებად მზადებას ადრე შეუდგნენ. ბრიგადებში გაშალეს სოციშეჯიბრება, კარგად გაანაწილეს მუშახელი, გამწევი ძალა, შეაკეთეს და შეიძინეს საჭირო ინვენტარი, სასიმინდეებს გაუკეთეს დეზინფექცია და აღებისთანავე არჩევენ და ინახავენ სათესლე მასალას. ბრიგადებში მოსავლის უდანაკარგოდ ასაღებად და მის დასაცავად გამოყოფილია გამგეობის წევრები და საკოლმეურნეო აქტივი. მოსავლის აღებისთანავე სდგება აქტი და მარცვლეული საწყობს გადაეცემა. ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობამ, სადაც თავმჯდომარედ ს. სულამანიძე მუშაობს, სიმინდის მოსავალი 60 ჰექტარზე უკვე აიღო, კამოს სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე დ. ხუციაძე)—70 ჰექტარზე. ვ. ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაში ბრიგადები, რომლებსაც ქრჩიაშვილი, ბლიაძე და კირკიტაძე ხელმძღვანელობენ, მოსავალს უდანაკარგოდ აღებენ და დღიურ ნორმებს 150 პროცენტით ასრულებენ. თავდადებული მუშაობის შედეგად ნინოშვილის, კამოს, ჯაფარიძის და მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობებში თითოეულ შრომადღეზე გაანაწილებენ 6 კილოგრამზე მეტ სიმინდს.

რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებში არის ჩამორჩენა. ცხაკაიას სახელობის, კალინინის სახელობის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში მოსავლის აღებაში უპასუხისმგებლობას იჩენენ. მათ ნათესები უხარისხოდ და დაგვიანებით დაამუშავეს, მოსავლის უდანაკარგოდ აღებაზეც ცოტა იმუშავეს. მაგალითად, ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე მელქო აბულაძე) საჭირო ინვენტარი დროზე არ შეიძინეს, არ დააწესეს კონტროლი, აღებულ მოსავალზე აქტი რამდენიმე დღის დაგვიანებით სდგება. სუსტად მუშაობენ სარევიზიო კომისიებიც.

დ. კაჭკაჭიშვილი

გაჩაღდა წინასაოქტომბრო შეჯიბრება

მახარაძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიშალა წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. აღდგომელ კოლმეურნეობა მიმართვის პასუხად კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები გადაჭარბებით ასრულებენ როგორც ჩაის კრეფის, ისე სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმებს. სოციშეჯიბრებაში წარმატება გვიჩვენებს და ვალდებულებები გადაჭარბებით შეასრულეს: შემოქმედის, ნიაბაურის, კონჯათის, ნატანების, გურიანთის, მერიის, განახლების, ნაგომრის, წითელმთის, შუა დუაბნუს კოლმეურნეობებმა. კოლმეურნეობებში კვლავ გაცხოველებით მიმდინარეობს როგორც ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა, ისე სიმინდის, ლობიოს, სოიის და სხვა კულტურების მოსავლის აღება. კოლმეურნეობები ასევე წარმატებით ემზადებიან (ციტრუსების კრეფისა და ნარგავების გამოზამთრებისათვის.

ლ. ლოლაძე

„კომუნისტის“ წერილების კვალდაკვალ

„სანიმუშოდ მოვუაროთ ციტრუსოვანთა ნარგავებს“

ამ სათაურით „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 17 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიაც აღნიშნული იყო მახარაძის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში არსებული ნაკლოვანებანი ციტრუსოვანი ნარგავების მოვლისა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების საქმეში. საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის ბიურომ განიხილა გაზ. „კომუნისტში“ მოთავსებული კორესპონდენცია და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სოფ. შემოქმედის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. პ. მახარაძეს და კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანს ამხ. რ. გოლიაძეს რაიონული კომიტეტის ბიურომ გამოუცხადა საყვედური ციტრუსოვანი ნარგავებისა და ევკალიპტების მოუვლელობისათვის, პარტრაიკომიდან ამ კოლმეურნეობაზე მიმაგრებულს ამხ. პ. ჩხატარაშვილს მისცა მითითება კოლმეურნეობისადმი სუსტი დახმარებისათვის, კოლმეურნეობის გამგეობას რჩევა მისცა სამუშაოდან მოხსნას და სამართალში მისცეს ციტრუსების ბრიგადირი მენაბდე, რაიმიწანის გამგეს ამხ. შ. ჭარუაძეს დაავალა ადმინისტრატიული სასჯელი დაადოს კოლმეურნეობის აგრონომს ამხ. ვ. სურგულაძეს.

სოფ. ჭანიეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ა. ურუშაძეს და აგრონომ ამხ. ვ. სალუქვაძეს გაფრთხილება მიეცათ იმის გამო, რომ მათ დაწესებულ ვადებში არ ჩაატარეს ციტრუსების პლანტაციებში საჭირო აგროტექნიკური ღონისძიებანი.

ვაკიჯვრის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ლეო გიორგაძეს ციტრუსების სანერგის მოუვლელობისა და მყნობის გეგმის შეუსრულებლობისათვის მეითითა და გაფრთხილებულ იქნა, რომ ციტრუსების პლანტაციებში სამუშაოების შეუსრულებლობისათვის დაიდება უფრო მკაცრი პარტიული სასჯელი. ამ კოლმეურნეობის აგრონომი აკაკი ტუღუში მოხსნილია სამუშაოდან. რაიმიწანის გამგეს დაევალა სოფ. ჯუმათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის უბნის აგრონომს ამხ. მ. ტაკიძეს ციტრუსების მყნობაში აგროწესების დარღვევისათვის დაადოს ადმინისტრატიული სასჯელი.

პარტკომის ბიურომ შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი ციტრუსოვანთა ნარგავების მოვლის შემდგომი გაუმჯობესებისა და მომდინარე სამუშაოების დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარების უზრუნველსაყოფად.

ფართოდ გავაჩაღოთ წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

სოციალისტური შეჯიბრების შედეგები ამიერ-კავკასიის რკინიგზაზე

ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამმართველოსთან არსებულმა საგზაო კომისიამ შეაჯამა ამიერ-კავკასიის რკინიგზის საწარმოთა შორის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები 1943 წლის სექტემბრისათვის. საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ რკინიგზის საწარმოთა შორის პირველი ადგილი დაიკავეს: მოძრაობის სამტრედიის განყოფილებამ, ენერგომომარაგების ხაშურის განყოფილებამ, სამტრედიის საგაგონო უბანმა, შორაპნისა და ოჩამჩირის საგზაო დისტანციებმა და თბილისის სამგზავრო სადგურმა.

სექტემბერში საწარმოო გეგმების საუკეთესოდ შესრულებისათვის ამიერ-კავკასიის რკინიგზის განყოფილებათა შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა სალიანდაგო სამსახურის განყოფილებამ (უფროსი ამხ. გაშაკიძე). ლიანდაგელებმა უკვე შეასრულეს წლიური საწარმოო გეგმა.

მეორე ადგილი დაიკავა საგაგონო სამსახურის განყოფილებამ (უფროსი ამხ. მაცაბერიძე). საგაგონო სამსახურის მუშაკებმა გადაჭარბებით შეასრულეს ძირითადი საწარმოო გეგმები და, გარდა ამისა, დაწინაურდნენ ნადავლი ვაგონების შეკეთებაშიც.

მუშაობაში კარგი მაჩვენებლები აქვთ აგრეთვე ელექტროფიკაციის სამსახურს (უფროსი ამხ. ლოგუა) და სამგზავრო სამსახურს (უფროსი ამხ. ახშარუმოვი).

სოციალისტურ შეჯიბრებაში აღებული ვალდებულებანი ვერ გაანაღდეს მოძრაობის სამსახურმა (უფროსის მოადგილეები ამხ. რუდკოვი და სემიონოვი) და საორთქლმავლო სამსახურმა (უფროსი ამხ. მამაცაშვილი).

ახალი წარმატებებით ხვდებიან დიად დღესასწაულს

თბილისის ხორცკომბინატის (დირექტორი ამხ. დ. სანაძე, პარტბიუროს მდივანი ამხ. ა. მჭედლიშვილი) მუშაკთა კოლექტივი საწარმოო წარმატებებით ხვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავს. კომბინატის კოლექტივი გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო გეგმებს. აგვისტოს გეგმა კომბინატის კოლექტივმა 160-ზე მეტი პროცენტით შეასრულა, ხოლო მესამე კვარტალის გეგმა შესრულებულია საგრძნობი გადაჭარბებით ორნახევარი თვის განმავლობაში.

კარგად იმუშავა თბილისის ხორცკომბინატმა სექტემბერშიც. თვიური დავალება შესრულებულ იქნა 129,8 პროცენტით. ძირითად საამქროთაგან საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს სასაკლაო საამქრომ (უფროსი ამხ. ს. პოპოვი), რომელმაც თვიური გეგმა 129 პროცენტზე მეტით შეასრულა, საძეხვე საამქრომ (უფროსი ამხ. ი. კუჩუაშვილი)—გეგმა შეასრულა 137,3 პროცენტით, სპეციფიკატების საამქრომ (უფროსი ნ. რამიშვილი)—გეგმა შეასრულა 122 პროცენტით და სხვ.

ფართო მოხმარების საგნების დამამზადებელ საამქროთაგან კარგად იმუშავა ცხვრისტყავის ქურქების (უფროსი—გავსიეევიჩი) საამქრომ, რომელმაც თვიური დავალება 180 პროცენტით შეასრულა.

გეგმის შესრულება

ცხაკაია („კომუნისტის“ საკ. კორ.). ცხაკაიას ხე-ტყის ადგილმბრივმა მრეწველობამ (დირექტორი ამხ. დ. ჯალაღანია) მესამე კვარტალის საწარმოო გეგმა ვადაზე 7 დღით ადრე 120 პროცენტით შეასრულა. სარეწაო არტელმა „შეერთებულმა ძალამ“ მესამე კვარტალის გეგმა 150 პროცენტით შეასრულა, ხოლო არტელმა „წითელმა მელითონემ“—125 პროცენტით.

ნ. კუჭავა

დეკეშები

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 12 ოქტომბერი (საკდესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბი იუწყება, რომ უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში ამერიკის მე-5 არმიისა და ინგლისის მე-8 არმიის ფრონტებზე მარტო საარტილერიო სროლა და საპატრულო ოპერაციები სწარმოებდა.

11 ოქტომბერს მოკავშირეთა ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს კუნძულ კორფუს (ალბანეთის ახლოს) აეროდრომზე. იტალიაში თავს დაესხნენ მტრის საარტილერიო პოზიციებს, საავტომობილო ტრანსპორტს და მატარებლებს იმ დროს, როცა ავიაგამანადგურებლები ბრძოლის რაიონში პატრულობდნენ და მტრის წინააღმდეგობას არ შეხვედრიან.

10 ოქტომბერს ღამით იერიშები მიიტანეს მოტორიზებულ კოლონებზე რომის ჩრდილოეთით და ფროზინონეს მახლობლად.

იშლება ნორვეგიელ კვისლინგელთა ბანდა

სტოკჰოლმი, 12 ოქტომბერი (საკდესი). შვედური პრესა იუწყება, რომ კვისლინგის პარტიაში დაშლა უფრო და უფრო მატულობს. კვისლინგელები მასობრივად გადიან „პარტიიდან“.

ამას წინათ კვისლინგელ ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა ჯგუფი გაგზავნილი იყო სასწავლო ბანაკში გერმანიაში, ნორვეგიაში დაბრუნებისას შვეიცარიე გავლის დროს ეს ახალგაზრდა კვისლინგელები მატარებლიდან წავიდნენ, რათა სამშობლოში არ დაბრუნებულიყვნენ. მითი გაქცევის მიზეზს, ყოველგვარი ნიშნის მიხედვით, წარმოადგენდა ჰიტლერული გერმანიის გამარჯვებისადმი რწმენის დაკარგვა.

სულიერი დაცემულობა და პესიმიზმი გერმანიის მოსახლეობაში

ჟენევა, 12 ოქტომბერი (საკდესი). შვეიცარიული გაზეთი „არბაიტერ ციტუნგი“ ეხება მდგომარეობას გერმანიაში და სწერს:

„მოსახლეობის ყველა, ფენის სულიერი განწყობილება უღრეკად დაცემულია. სულიერად დაეცა ბევრი თავგადაკლული ჰიტლერელიც კი. ამას ხელს უწყობს, კერძოდ, ის გარემოება, რომ სასურსათო მდგომარეობა გერმანიაში უარესდება. პირველი საჭიროების პროდუქტების შრვნა თითქმის შეუძლებელია. ყველის პროდუქტების მწყვეტი ნაკლებობა განსაკუთრებით ძლიერ გავლენას ახდენს ფიზიკური შრომის მუშაკებზე, რომელთა ძალებიც დღითიდღე იფიტება. ყველგან აღინიშნება ომით გამოწვეული უდიდესი დაღლილობა. მოსახლეობა დიდი შეშფოთებით უცქერის გერმანიის მომავალს. ფართოდ არის გავრცელებული ურწმუნოება გერმანიის გამარჯვებისადმი ამ ომში. დაპარტების განწყობილება ეპიდემიასავით ვრცელდება, განსაკუთრებით დაბომბვისაგან დაზარალებულთა შორის და იმ მოსახლეობაში, რომელიც იძულებულია შეივრდომოს უთავშესაფაროდ დარჩენილნი. ჯარისკაცებს შორისაც ფრონტზე აღინიშნება სულიერი დაცემულობა, რასაც აძლიერებს ის გარემოება, რომ ბევრი ჯარისკაცის ოჯახი დაიღუპა გერმანიის ქალაქების დაბომბვის დროს. ამ დაბომბვის შედეგების შესახებ ნაამბობი საწამალავითი მოქმედებს გერმანელი ჯარისკაცების მორალურ მდგომარეობაზე“.

ჰიტლერული „ფელკიშერ ბეობაზტერი“ უჩივის გერმანიის საწარმოებში გაძლიერებულ საბოტაჟს. „ერთ 29 წლის მეყალიბეს,—სწერს გაზეთი,—ხშირად ბევრი არევდარევა შეაქვს სამსხმელო საამქროს საწარმოო პროცესში. იგი ხან უარს ამბობს დავალების შესრულებაზე, ხან აფუჭებს სხმულს, ხან თავის ამხანაგებს წაეკიდება, ხან კი სრულიად უმიზეზოდ დაიწყებს ჩივილს, კუჭი მტკივაო. ეს ტკივილი სიმბოლური ნიშანია იმისა, რომ „ვერ იტანს ასეთ ცხოვრებას და რომ ეს ცხოვრება სძულს მას“.

„გაზეთი დასძენს, რომ შეიძლებოდა მოგვეყვანა ბევრი ანალოგიური მაგალითი „ოსტატთა დაღვრემილობის, საწარმოთა საამქროების უფროსების ზიზღისა მუშაობისადმი და სხვ.“.

ჰიგიერული გაზეთის უბადრუკი ცდა გაამხნეოს „სულმოკლენი“

სტოკჰოლმი, 12 ოქტომბერი (საკდესი). ჰიტლერული პროპაგანდის ყოველგვარი ხრიკი, რომელიც მიზნად ისახავს შეასუსტოს დამამუხრუჭებელი შთაბეჭდილება, რასაც გერმანიის მოსახლეობაში იწვევს გერმანელთა ჯარების დამარცხება საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფრონტზე, უშედეგოდ რჩება. თვით ჰიტლერული გაზეთები იძულებული არიან ეს აღიარონ. მაგალითად, გაზეთი „პომერშე ცაიტუნგი“ სწერს:

„ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ასეთი სიტყვები, როგორიცაა „ვეგმაზომიერი უკანდახევა“ და „გთვალისწინებული ევაკუაცია“ ზოგ ვისმე სისხლს უფუჭებს, მაგრამ ეს ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ მათთვის გაუგებარ საგნებზე, ჩვენ შეგვიძლია ვანუგეშოთ მხოლოდ გაცვეთილი სიტყვებით იმის შესახებ, რომ საჭიროა ლოდინი. ზოგჯერ ძნელია ხოლმე გულში შეპარული სულმოკლეობის დაძლევა“.

გაზეთი სწერს, რომ „იმ დღეებმა, კვირეებმა და თვეებმა, რომელთაც ჩვენ ახლა განვიცდით, საკმაოდ ასწეწეს ჩვენი ნერვები“, და, მიმართავს რა სიტყვებს, რომლებსაც მან თვითონ გაცვეთილი უწოდა, მოსახლეობას ურჩევს „ჯავშანი ჩაიცვას გულს“, დარჩეს „გულვრილი და უგრძნობელი“ და, რაც მთავარია, იცადოს ჩუმად იყოს და არ იფიქროს. „მას შემდეგ, რაც მტრის შემოტევა დაიწყო აღმოსავლეთ ფრონტზე,—სწერს გაზეთი,—ფიქრებს ლაგამი უნდა ამოვდოთ“.

კომკავშირელ ა. მაჭროსოვის უკვდავი გმირობა

1943 წლის 23 თებერვალს გვარდიის 56-ე მსროლელი დივიზიის გვარდიის 254-ე მსროლელი პოლკის გვარდიის მერიგე ალექსანდრე მათეს-ძე მატროსოვი სოფ. ჩერნუშკისათვის გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლის გადამწყვეტ მომენტში გაიჭრა მტრის ძლიერწყრი საცეცხლე წერტილისაკენ, თავისი სხეულით აიფარა ამბრაზურს, გასწირა სიცოცხლე და მით უზრუნველჰყო შემტევი ქვეგანაყოფის წარმატება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 19 ივნისის ბრძანებულებით გვარდიის მერიგე ამხ. მატროსოვს საკავდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

გმირულად დაღუპულ ალექსანდრე მატროსოვის ხსოვნის უკვდავსაყოფად თავდაცვის სახალხო კომისრის საბჭოთა კავშირის მარშალის ი. ბ. სტალინის ბრძანებით გვარდიის 56-ე მსროლელი დივიზიის გვარდიის 254-ე მსროლელ პოლკს მიენიჭა სახელწოდება: „ალექსანდრე მატროსოვის სახელობის გვარდიის 254-ე მსროლელი პოლკი“. და ალექსანდრე მატროსოვი სამუდამოდ ჩარიცხულ იქნა ალექსანდრე მატროსოვის სახელობის გვარდიის 254-ე პოლკის 1-ლი ასეულის სიებში.



სურათზე: საბჭოთა კავშირის გმირი გვარდიის მერიგე ალექსანდრე მათეს-ძე მატროსოვი.

საკ. აღკკ XXV წლისთავისათვის

მეჯი მარგანეცისათვის მებრძოლი ახალგაზრდები

ჭიათურა („კომუნისტის“ საკ. კორ.). კომკავშირის XXV წლისთავისათვის სტალინის სახელობის მაღაროს ახალგაზრდები ამხ. პ. ჯაოშვილი, ნ. ღვალაძე და გ. ბარჯაძე ყოველდღიურ გეგმებს 200 პროცენტით ასრულებენ. ჯალამბრის მემანქანემ გ. ფერაძემ ვალდებულება აიღო გეგმა 115 პროცენტით შეასრულებინა, ფაქტიურად კი გეგმას ყოველდღიურად 135 და მეტი პროცენტით ასრულებს. ამ მაღაროში ახალმოსული ახალგაზრდები ამხ. სახეჩიძე, აბრამიშვილი, თოდაძე, ჭიღლაძე სწრაფად დაეუფლნენ ახალ პროფესიებს და გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ორჯონიკიძის სახელობის მაღაროში წარმატებით მუშაობს კომკავშირული ცვლა, რომელსაც ამხ. აპ. ჭერლაშვილი ხელმძღვანელობს. ამ ცვლის კომკავშირელმა ამწეშენდმა ამხ. ტ. მიროტაძემ, რომელმაც მოკლე ხანში შეისწავლა აწეშენდა, იკისრა გეგმის 110 პროცენტით შესრულება, სინამდვილეში ეი [illegible] 130 პროცენტით ასრულებს. ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ ამ მაღაროს კომკავშირელები ამხ. შურა ჩიტიძე, სონა ჯიქიძე, ვ. კენქაშვილი, მ. ჯაჯანიძე.

თავდადებულად მუშაობენ მარგანტრესტის მთავარი მექანიკური სახელოსნოს ახალგაზრდებიც. ხარატები გ. ჩუბინიძე, ო. გოგოლაშვილი, პ. ბარამაძე გეგმებს 200-300 პროცენტით ასრულებენ და თავიანთ გამოცდილებას წარმოებაში ახალმოსულ მუშებს გადასცემენ. წარმოებაში ახალმოსულმა ვ. ჩიჩინიძემ მოკლე ხანში ოთხი-ხუთი ოპერაცია შეისწავლა. ახლა ის კარგი ხარატია და ეგმას სამმაგად ასრულებს.

მარგანეცის ქალაქის ახალგაზრდებმა ამ დღეებში კვირაობა ჩაატარეს და ერთი დღის განმავლობაში 27 ტონა შავი ლითონის ჯარი შეაგროვეს.

პ. ჭიოკაძე

კომკავშირელები ანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებებს

ხაშური, 8 ოქტომბერი (საქდესი). ხაშურის სავაგონო დეპოს ახალგაზრდობა, ჩაება რა საკ. აღკკ XXV წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში დღითი დღე ზრდის შრომის ნაყოფიერებას. ამხ. მაღრაძის კომკავშირულმა ცვლამ წარმატებით შეასრულა ნაკისრი ვალდებულება—შეაკეთა 20 ვაგონი. ახლა მაღრაძის ცვლამ ვალდებულება იკისრა საკ. აღკკ XXV წლისთავისათვის სამუშაოსაგან თავისუფალ დროს შეაკეთოს კიდევ 9 ვაგონი.

საქართველოს სპორტსმენთა ჩამოსვლა

გუშინ ერევნიდან თბილისში დაბრუნდა საქართველოს სპორტსმენთა დელეგაცია, რომელიც მონაწილეობდა ამიერ-კავკასიის ტრადიციულ სპარტაკიადაში. დელეგაციას მეთაურობდა საქართველოს სსრ სახელმაპაჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. თ. სხირტლაძე.

გამარჯვებულ სპორტსმენებს თბილისის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა სადგურში საზეიმო შეხვედრა მოუწყეს.

ჩამოსულთა შეხვდნენ სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკი მ. მიჩურინი, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სამხედრო განყოფილების გამგე ვ. გოგლიძე, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. ჩიკვაძე, სპორტის ოსტატები, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები, სხვადასხვა სასპორტო საზოგადოებათა წარმომადგენლები და ფიზკულტურელები.

ორი სიმღერა

პოეტ ვიქტორ გუსევთან ერთად სტალინური პრემიის ლაურეატი კომპოზიტორი ტიხონ ხრენიკოვი მუშაობს ორ სიმღერაზე. პირველია—„საზეიმო კომკავშირული“, მეორე სიმღერას ავტორი უძღვნის საბჭოთა კავშირის გმირს ოლეგ კოშევოის, რომელმაც თავი შესწირა სამშობლოს კეთილდღეობას.

— შთაგონებული ჭაბუკის სახემ, „მოლოდაია გვარდიის“ არალეგალური ორგანიზაციის წინამძღოლმა, ძლიერ ამაღელვა. ორივე ამ სიმღერას ვუძღვნი ჩვენს სახელოვან ეპოლარს—ლენინურ-სტალინურ კომკავშირს, — აცხადებს ტ. ხრენიკოვი „კომსომოლსკაია პრავდის“ ფურცლებზე.

ცხაკაიას თეატრში

ცხაკაიას თეატრი, რომლის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელია შ. მუკანაძე, სამამულო ომის დღეებში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. ომის პირველ თვეებში მან დასდგა მთელი რიგი ერთმოქმედებიანი პიესები საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლაზე გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ. 1942-43 წლის სეზონში თეატრი კვლავ დაუბრუნდა დიდი ფორმების პიესებს და მაყურებელს უჩვენა ა. აღლაძის „სიკვდილზე ძლიერი“, ა. ცაგარლის „ციმბირელი“, შ. დადიანის „მზის ამოსვლამდე“ და სხვ.

ოქტომბრის შუა რიცხვებში თეატრი იწყებს 1943-44 წლის სეზონს ა. ცაგარლის პიესით „ციმბირელი“. წლის დამლევამდე თეატრი დასდგამს ვ. შალიკაშვილის პიესას „უნიადაგონი“, ა. ცაგარლის პიესას „ლეკის ქალი გულჯავარ“, შ. კილოსანიძის „ლეტენანტ გამდოვს“ და გ. გულიას პიესას „გზა უფლტეხილსაკენ“. სეზონის პირველ პრემიერად ოქტომბრის დამლევს დაიდგმება ვ. შალიკაშვილის „უნიადაგონი“ (რეჟისორი მ. კამკამიძე, ხატვარი ჭამუშაძე).

ნასამართლო

ქურდ რეციდივისტთა ჯგუფის გასამართლება

თბილისის მოლოტოვის რაიონის 1-ლი უბნის სახალხო სასამართლომ მოსამართლე ამხ. რეხაძის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების დავალებით, კახიას და ბროკუროორ ისაკაძის მონაწილეობით ბანიერი საქმე თბილისში მოქმედ ქურდ რეციდივისტთა ჯგუფისა, რომელშიაც შედიოდნენ ვლადიმერ ილიას-ძე ჟორჟოლაძე, ჯაბა კონსტანტინეს-ძე იოსელიანი, მურმან ანდრიას-ძე ხოფერია და გურამ დმიტრის-ძე ჭანტარია. როგორც სასამართლო პროცესზე გამოირკვა, აღნიშნული პირები წინასწარი შეთანხმებით, მორგებული გასაღებების საშუალებით, რომლებიც მათ ალმოაჩნდათ, სისტემატურად ჭყურდავდნენ ბინებს და ნაქურდალს ინახავდნენ ჟორჟოლაძის ბინაში, საიდანაც შემდეგ ახდენდნენ მოპარული ნივთების გაყიდვას და აღებული ფულით ეწყოდნენ ხელგაშლილ და გახარწნილ ცხოვრებას. სასამართლოს სხდომაზე ყველა ბრალდებული დანაშაულში გამოტყდა. ქურდ რეციდივისტთა ჯგუფის ორგანიზატორს ვლადიმერ ილიას-ძე ჟორჟოლაძეს მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელის მოხდის შემდეგ ორ-ორი წლით ჩამოერთვათ ხმის უფლება. სასამართლოს დადგენილებით ბრალდებულებს ჩამოერთვა აღმოჩენილი ნაპარავი ნივთები და დაუბრუნდა დაზარალებულებს.

ქრონიკა

11 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო ცირკის შეობაში შესდგა ესტონეთის სსრ და საქართველოს სსრ უძლიერეს მოკრივეთა სამტრო შეხვედრები.

საქართველოს ფიზკულტურელები ჯულმხურვალედ მიესალმნენ მომავალ საბჭოთა ფესტუბლიკის სპორტსმენებს.

რეინვალდისა და მესიანის შეხვედრა ოლიმპიადა ფრედ. ვართანოვმა მოუგო კაუნისმაეს. მეტად საინტერესოდ მიმდინარეობდა გორგასლ